ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2568604

ნომერი: AR1398360

თარიღი : 20.04.2016

გაცემის თარიღი : 27.04.2016

გაცნობის თარიღი : 28.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 21 , (ნაკვ. 64/39) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირმა დარცმელია პ/ნ 62001025115
- ვარკეთილი 3, 26 #54

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1398360 განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით სამღებრო ქუჩა N21 (ნაკვ. 64/39) მიმდინარე მშენებლობას და ითხოვთ წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვის შესახებ.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ

მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2016 წლის 23 თებერვლის №2448554 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N21–ში (უძრავი ძეგლზეი) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა სამუშაოების ჩატარების ნებართვა, რომლის მშენებლობის ვადა განისაზღვრა: 2016 წლის 25 თებერვლიდან 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

რაც შეეხება მშენებლობის შეჩერებას, აღნიშნული საკითხი სცილდება სამსახურის კომპეტენციას.

ვინაიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის (www.tas.ge) უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1375549 განაცხადის ნომერი.

სამსახურის მიერ №2448554 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.